გადაწყვეტილება №g-1/076/2015

ქ. თბილისი 29/06/2015

განმცხადებელი - ჯიმშერ ჩლაიძე (პ/ნ 01009018221)

მოთხოვნა - განმცხადებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მისი ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების და გამოყენების კანონიერების შესწავლას.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის 26 მარტს №01/87 განცხადებით მომართა მოქალაქე ჯიმშერ ჩლაიძემ, სადაც აღნიშნულია, რომ 2014 წლის 17 დეკემბერს ქ. თბილისში პეკინის გამზირზე იგი გააჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. განმცხადებლის მითითებით, პოლიციის თანამშრომელმა მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები გადასცა ტელეფონის მეშვეობით, რის შემდეგაც მას განუცხადა, რომ იგი წარსულში გადიოდა ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამას. ჯიმშერ ჩლაიძის განცხადებით, 2010-2011 წლებში ის მართლაც მონაწილეობდა ასეთ პროგრამაში შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში", თუმცა წესით, ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი არ უნდა ყოფილიყო, რის გამოც, განმცხადებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მისი ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების და გამოყენების კანონიერების შესწავლას ან შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.

დამატებითი ინფორმაციის სახით, განმცხადებელმა 2015 წლის 11 მაისს №01/218 წერილით ინსპექტორის აპარატს აცნობა, რომ 2015 წლის 11 მაისს ქ. თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე პოლიციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს პირადობის მოწმობა. ერთ-ერთმა პოლიციის თანამშრომელმა მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები გადასცა ტელეფონის მეშვეობით,

რის შემდეგაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, მას განუცხადეს, რომ იგი იმყოფებოდა ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2015 წლის 30 მარტის №გ-1/020/2015 გადაწყვეტილებით ჯიმშერ ჩლაიძის 2015 წლის 26 მარტის №01/87 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად და განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისაგან".

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 02 აპრილის №150/01 წერილით მიმართა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს" და მოითხოვა ინფორმაცია - მოხდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჯიმშერ ჩლაიძის ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" 2015 წლის 23 აპრილის №01-04-01/3424 საპასუხო წერილის თანახმად, 2014-2015 წლებში სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მიწოდებულა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 02 აპრილის №148/01 წერილით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია ფლობდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯიმშერ ჩლაიძის „მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში" მონაწილეობის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას და დადებითი პასუხის შემთხვევაში რომელი სამართლებრივი საფუძვლით და რა მიზნით მოხდა ამ ინფორმაციის დამუშავება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2015 წლის 14 აპრილის №MIA41500786606 წერილით, დაადასტურა „მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში" პირთა, მათ შორის, მოქალაქე ჯიმშერ ჩლაიძის, მონაწილეობის შესახებ მონაცემები, ხოლო 2015 წლის 14 მაისის №MIA91501028719 წერილით მიუთითა მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები და ასევე დააზუსტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯიმშერ ჩლაიძის მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 2012 წელს. 2015 წლის 17 დეკემბერს კი, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის და შინაგან საქმეთა მინისტრის №240, №875 და №153 ბრძანებებით დადგენილი მიზნით, სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის მიერ, განხორციელდა ჯიმშერ ჩლაიძის მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დამატებით, ინსპექტორის აპარატის მიერ 2015 წლის 22 მაისის №269/01 წერილით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისგან" მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია, გადიოდა თუ არა ჯიმშერ ჩლაიძე ანონიმურ

მკურნალობას და ასეთი ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ეთხოვა განმცხადებლის სააღრიცხვო ბარათის და მკურნალობის ჩატარების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების ასლის მოწოდება. ასევე, გაცემულ იქნა თუ არა ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ ინფორმაცია მესამე პირებისთვის, მათ შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის და რა სამართლებრივი საფუძვლით. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" 2015 წლის 05 ივნისის №01-04-01/5159 წერილის თანახმად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" ჩამოყალიბდა 2012 წლის 21 მაისს, სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის" და შპს „ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის" შერწყმის შედეგად. ამავე წერილით ირკვევა, რომ ჯიმშერ ჩლაიძე მკურნალობდა 2010 წლიდან 2013 წლამდე ნარკოლოგიის ჩანაცვლებით თერაპიის განყოფილებაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 იანვრის №37 ბრძანებით „ოპოიდური ნარკომანიის დროს ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების შესახებ" განსაზღვრული წესის შესაბამისად, რომელიც არ ითვალისწინებდა პაციენტის ანონიმურ ჩართვას მეთადონის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში.

ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის 22 მაისის №268/01 წერილით, ასევე, მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია მოხდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელ თარიღში და რა სამართლებრივი საფუძვლით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 01 ივნისის №01/38413 წერილის თანახმად, ჯიმშერ ჩლაიძის ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არის მიწოდებული არცერთი სახელმწიფო სტრუქტურისთვის, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მითითებული ფაქტების და გარემოების დაზუსტების მიზნით, 2015 წლის 23 ივნისს ჩატარდა ზეპირი განხილვა. ზეპირი განხილვის სხდომას ესწრებოდნენ ზემოაღნიშნული უწყებების წარმომადგენლები. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" მიერ წარმოდგენილი 2010 წლის 20 ივნისის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელი ჯიმშერ ჩლაიძე სსიპ „დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში" გადიოდა ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტის მეთადონით ჩანაცვლებით მკურნალობას. ცენტრის მიერ, ასევე, წარმოდგენილ იქნა ცენტრსა და განმცხადებელს შორის 2013 წლის 27 ივნისის დადებული ხელშეკრულება ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტის ჩამანაცვლებელი მედიკამენტით მკურნალობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, დაწესებულებაში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართული პაციენტების შესახებ

ინფორმაცია კონფიდენციალურია და გაიცემა მხოლოდ პაციენტის მოთხოვნით ან არსებული კანონმდებლობის საფუძველზე სამედიცინო და/ან იურიდიული საჭიროების შემთხვევაში.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წარმომადგენლის განმარტებით, ჯიმშერ ჩლაიძე მონაწილეობდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 07 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, პროგრამის მიმწოდებლები განმახორციელებელს წარმოუდგენენ საანგარიშგებო დოკუმენტაციას. ამავე ბრძანების მე-9 მუხლის თანახმად კი, საანგარიშგებო დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას პროგრამის მოსარგებლის სახელის, გვარის, პირადი ნომრის და დაბადების თარიღის შესახებ. ზემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციას ყოველთვიურად გადასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. თავდაპირველად ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცა 2011 წლის აპრილის თვეში. ცენტრი ახდენს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემის შემთხვევების სრულად აღრიცხვას და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის გაცემის ფაქტს არ ადასტურებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ინფორმაცია ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების შესახებ, მათ შორის განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია, მიღებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან 2012 წელს (შესაბამის მონაცემთა ბაზაში ასახულია მხოლოდ წელი და ვერ ხდება კონკრეტული თარიღის დაზუსტება). სამინისტროს განმარტებით, ვინაიდან ინფორმაცია მოწოდებული იყო მყარი დისკის სახით, სამინისტროში არ მოიპოვება ინფორმაციის მიღების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია. ჯიმშერ ჩლაიძის ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია ინტეგრირებულია სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდივიდუალური მომართვისას, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ან სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გასცემს ინფორმაციას პირის სხვადასხვა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში მონაწილეობის შესახებ. 2012 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მყარი დისკით მონაცემების გადაცემის შესახებ ინფორმაცია აღრიცხული არ არის.

სამოტივაციო ნაწილი

1. *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმცხადებლის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება*

განმცხადებელი - ჯიმშერ ჩლაიძე გადიოდა ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტის მეთადონით ჩანაცვლებით მკურნალობას, რაც წარმოადგენს მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. აღნიშნული მონაცემი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. ასეთი მონაცემის დამუშავება დასაშვებია ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის დამუშავება პირდაპირ გათვალისწინებული არ არის. „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ა" პუნქტი საზოგადოებრივი უსაფრთხოებას, განმარტავს როგორც პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების ურღვევობას. აღნიშნული კანონით დადგენილია პოლიციის ფუნქციებიც. კერძოდ, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისათვის საფრთხის თავიდან აცილება; ასევე, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე; დანაშაულისა და სხვა

სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზი და დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება.

ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის გარეშე, მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა ან შენახვა ანდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება კი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ეს კანონი და საქართველოს სხვა კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მინისტრის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 დეკემბრის №317/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა აღრიცხვაზე აყვანის და აღრიცხვიანობის წესების შესახებ" ინსტრუქცია ადგენს ნარკომანიით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა აღრიცხვის ვალდებულებას. ამ ინსტრუქციის პირველი პუნქტის თანახმად, ნარკომანიით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ფორმა უნდა შეივსოს სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება გამომვლენ სამედიცინო დაწესებულებაში ან ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე ექიმთან, მეორე ეგზემპლარი უნდა გაიგზავნოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, ხოლო მესამე ეგზემპლარი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოში.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციას ყოველთვიურად გადასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ ინფორმაცია ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების შესახებ, მათ შორის განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია, მიღებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან 2012 წელს, საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 დეკემბრის №317/ნ ბრძანების საფუძველზე.

განმცხადებელი - ჯიმშერ ჩლაიძე 2010 წლის 20 ივნისის და 2013 წლის 27 ივნისის ხელშეკრულებების თანახმად, შესაბამის დაწესებულებაში გადიოდა ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტის ჩამანაცვლებელი მედიკამენტით მკურნალობას, რის გამოც მას არ ეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებებით ირკვევა, რომ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების შესახებ ინფორმაცია და მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიაში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია, სამინისტროს ესაჭიროება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზისთვის და დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალური კანონით მონაცემთა დამუშავების პირდაპირ და სპეციალურად განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის დამუშავების კანონიერი მიზანი და მონაცემების ამგვარი დამუშავება გათვალისწინებულია კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 დეკემბრის №317/ნ ბრძანებით, რომელიც ადგენს ნარკომანიით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა აღრიცხვის ვალდებულებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მეთადონის ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში ჩართული პაციენტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება - მათი შეგროვება და აღრიცხვა განხორციელდა 2012 წელს, მაშინ როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება 2014 წლის 1 სექტემბრამდე არ ვრცელდებოდა მონაცემთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის დამუშავებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მეთადონის ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში ჩართული პაციენტების, მათ შორის ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას არსებობს მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზანი და საკითხი რეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის არ იკვეთება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლით განსაზღვრულ გამონაკლისი შემთხვევები.

2. *განმცხადებლის შესახებ პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ფაქტების აღრიცხვა*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან და სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებიდან ირკვევა, რომ ჯიმშერ ჩლაიძის ე.წ. „მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში" მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 2012 წელს მყარი დისკის მეშვეობით. თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აღნიშნულ თარიღში ე.წ. „მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში" მონაწილე პირების მონაცემების შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია აღრიცხული არ არის. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყო აღერიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პერსონალური მონაცემების გადაცემის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3, მე-6, მე-18, 27-ე, 34-ე და 39-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა **გადაწყვიტა:**

1. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 2015 წლის 01 დეკემბრამდე დაბლოკოს ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების, მათ შორის ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ მონაცემები და განახორციელოს ამ მონაცემების დამუშავება მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში.
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 01 დეკემბრამდე განახორციელოს ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების მონაცემების შემცველი ინფორმაციის შესაბამის ბაზებში არსებობის აუცილებლობის შეფასება და მონაცემების დამუშავება მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაუგვიანეს 2015 წლის 15 დეკემბრისა უზრუნველყოს ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებით

თერაპიაში მონაწილე პირების, მათ შორის ჯიმშერ ჩლაიძის შესახებ მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის 2015 წლის 31 დეკემბრამდე.
4. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნების ფაქტების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, კერძოდ, რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით;
5. დასრულდეს მოქალაქე ჯიმშერ ჩლაიძის 2015 წლის 26 მარტს წარმოდგენილი №01/87 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
6. განმცხადებელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
7. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი